10/06/2025

MES 2 25 0000648778

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 29/05/2025
სხდომის დაწყების დრო: 14:00
სხდომის დასრულების დრო: 19:30
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე (I და III საკითხი)
სხდომის თავმჯდომარე: ქეთევან აფთარაშვილი (II საკითხი)
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. ლევან შავაძე - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ქეთევან აფთარაშვილი - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. ვაჟაკელიხაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. ნარგულ ასანიძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
5. ნათია იორდანიშვილი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე;
6. თეა მჭედლური - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
7. ვლადიმერ ადეიშვილი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
8. ციური დურული - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
9. ქეთევან ნანობაშვილი - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
10. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
11. მაქსიმ იავიჩი - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
12. თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
13. მზია წიკლაური - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
14. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
15. ქრისტინე ახალაძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
16. ბონდო გასვიანი - შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.
17. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე მოწვეული წევრები:

1. **კახაბერ ჩიხრაძე** - შპს „ამერიკული ჰოსპიტლის" თბილისის სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელი;
2. **მაია ბიწკინაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
3. **ეკა ბოჭორიშვილი** - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების დეპარტამენტის სახელმწიფო პროგრამების რევიზიის სამმართველოს უფროსი;
4. **ნინო გაგუა** - შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის" სტუდენტი
5. **კახაბერ ვანიშვილი** - შპს „ივ. ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის" დირექტორის მოადგილე;

6. **დავით თოთაძე** - შპს „ჯეო ჰოსპიტალსის - თბილისის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის“ გენერალური დირექტორი;
7. **ივანე ჩხაიძე** - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
8. **ხათუნა ზალდასტანიშვილი** - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;

9. **ნათია სხვიტარიძე** - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მრჩეველი გლობალური ჯანმრთელობის საკითხებში;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
1. **ქეთევან ინანაშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. **ქეთევან პავლიაშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
3. **თათია მამრიკიშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთი"
1. **ვლადიმერ მკერვალიშვილი -** რექტორი;
2. **კახი ყურაშვილი -** ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსი;
3. **ნინო სეფაშვილი -** სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტის უფროსი;
4. **ნინო კასრაძე -** ჯანდაცვის სკოლის დეკანი, მედიცინის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი პროგრამის ლიდერი;

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
1. **თეა კორძაძე** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. **ინგა აბრამიძე -** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. **რუსუდან საღინაძე -** სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის "ქართველური ენათმეცნიერება" ხელმძღვანელი, პროფესორი;
4. **ეკა დადიანი -** სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის "ქართველური ენათმეცნიერება" ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
5. **ნინო ფხაკაძე -** პროგრამის განმახორციელებელი, ასოცირებული პროფესორი;

შპს ევროპის უნივერსიტეტი
1. **ილია ბოცვაძე -** ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი;
2. **ნინო ღაჭავა -** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

3. სოფიო ხუნდაძე - ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით.
4. **ნიკოლოზ ფარჯანაძე,** ვიცე რექტორი.

აკრედიტაციის ექსპერტები
აზიმ მირზაზადე - I საკითხი
სალომე ვორონოვი - I საკითხი
ნინო ინაური - I საკითხი
თამარ გოდერიძე - I საკითხი
შოთა სალიგაძე - I საკითხი
ნიჰადა დელიბეგოვიჩ ჯანიჩი - II საკითხი
ნინო პოპიაშვილი - II საკითხო
ირინა ლობჟანიძე - II საკითხი
ია ნაცვლიშვილი - II საკითხი
გიორგი არქანია - II საკითხი
ნატალი ალექსანდრა გურვიტს-სუიტსი- III საკითხი
დავით სიხარულიძე - III საკითხი
მაია ჭინჭარაშვილი - III საკითხი
ია ნაცვლიშვილი - III საკითხი
ნინო ჯავახიშვილი - III საკითხი

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ლევან შავაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ხოლო პირველი საკითხის განხილვას ასევე ესწრებოდა მოწვეული საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთის" "მედიცინის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართველური ენათმეცნიერების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა;
3. შპს ევროპის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები და აუდიტის" საბაკალავრო და ,,ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები და აუდიტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ქეთევან ინანაშვილმა დააყენა

შემდეგი შუამდგომლობა: „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ორგანიზაციის ტრანსფორმაცია და კონსულტირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს N338851; 04/03/2025 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის განხილვა.

-

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთის" "მედიცინის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართველური ენათმეცნიერების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა;
3. შპს ევროპის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები და აუდიტის" საბაკალავრო და ,,ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები და აუდიტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
4. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ორგანიზაციის ტრანსფორმაცია და კონსულტირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს N338851; 04/03/2025 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის განხილვა.

პირველი საკითხი: შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთის" "მედიცინის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - მედიცინა
საფეხური - ერთსაფეხურიანი
სწავლებისენა - ინგლისური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - დიპლომირებული მედიკოსი
დეტალური სფეროს კოდი - 0912 მედიცინა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აზიმ მუჰამედ მირზაზადემ (Azim Mohammad Mirzazadeh) დამსწრე საზოგადოებას გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და შეფასებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნასთან დაკავშირებით:
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა კომპონენტ 1.3-ში გაცემულ რეკომენდაციაზე („რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გადახედოს სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პირდაპირ მეთოდს, რათა შეფასდეს სწავლის შედეგების მიღწევა და არა სტუდენტის პროგრესი გამოცდებში“) განაცხადა, რომ არ ეთანხმებიან. მათი განმარტებით, სწავლის შედეგების მიიღწევის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა მექანიზმით, მათ შორის: სწავლის შედეგების რუქა, სამიზნე ნიშნულები და სხვ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პირდაპირი მეთოდის შესახებ, სწორედ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს ითვალისწინებს. საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით, სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგი, რომელიც გადის პროგრამის სწავლის შედეგზე, თუ კრეფსითად არ შეფასდა, ვერ დაადგენენ, სტუდენტი გავიდა თუ არა სწავლის შედეგზე. საგულისხმოა, რომ საბოლოო შეფასების შედეგი წარმოადგენს შუალედური და ფინალური გამოცდების ჯამს, რომლებიც, თავის მხრივ, რამდენიმე სწავლის შედეგს მოიცავენ. სტუდენტის შეფასება მხოლოდ ფინალური გამოცდის შედეგით არ იზომება. სასწავლო კურსის შეფასების ეტაპები, ასევე მოიცავს ისეთ მიმდინარე შეფასებებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია სწავლის შედეგებთან და ეს ყველაფერი ასახულია თითოეული სასწავლო დისციპლინის სილაბუსში. სილაბუსებში დადგენილია, ასევე, მინიმალური კომპეტენციების ზღვრებიც თითოეული შეფასების კომპონენტისათვის.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, კომპონენტი 1.4-ში არსებულ რეკომენდაციაზე („რეკომენდებულია, პროგრამის ყველა დაინტერესებულ მხარეს ჰქონდეს ნათელი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას მიღწეული პროგრამით დაგეგმილი სწავლის შედეგები). განაცხადა, რომ არ იზიარებენ. მათი განმარტებით, პროგრამა შემუშავებულ იქნა ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით, გარდა კურსდამთავრებულისა და სკოლის სტუდენტისა, რაც ასახეს შესაბამისი პროგრამის განვითარების კომიტეტისა და აკრედიტაციის თვითშეფასების ჯგუფის სხდომის ოქმებში. პროგრამის განვითარების კომიტეტი, აერთიანებდა პროგრამის ხელმძღვანელს და სასწავლო პროცესში ჩართულ ყველა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს. კომიტეტის მუშაობაში ასევე, მონაწილეობდნენ პოტენციური დამსაქმებლები და დარგის სპეციალისტები. აკრედიტაციის თვითშეფასების ჯგუფისა და პროგრამის განვითარების კომიტეტის წევრებს ჩაუტარდათ არაერთი ტრენინგი, მათ შორის პროგრამის შემუშავებისა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის, დადარებისა თუ მონიტორინგის მექანიზმების თაობაზე. შესაბამისად, მათი მოსაზრებით პროგრამის შემუშავებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს სათანადოდ ჰქონდათ გააზრებული შემუშავებული პროგრამის ყველა ნაწილი, მათ შორის, სწავლის შედეგები და მათი მიღწევის გზები.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა კურსდამთავრებულებისა და სკოლის სტუდენტების პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მათი ჩართვა პროგრამაზე მუშაობისას ვერ მოხდა, იმის გამო რომ პროგრამა პირველად გადის აკრედიტაციის პროცესსა და არც ამ პროგრამაზე და არც მთლიანად უნივერსიტეტში არ ირიცხებოდნენ (2025 წლის 1 აპრილამდე) სტუდენტები, შესაბამისად არ ჰყავდათ კურსდამთავრებულებიც.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, 1.5 კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით („ რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს სწავლებისა და სწავლის მეთოდების შესაბამისობა სწავლის შედეგებთან და გასწორდეს არსებული ხარვეზები“) განაცხადა, რომ არ ეთანხმებიან. მათი მოსაზრებით, რეკომენდაციის შინაარსობრივი მხარე, ბუნდოვანია. კერძოდ მითითებულია, რომ „მიუხედავად იმისა, რომ თითოეული კურსის სილაბუსში სწავლებისა და სწავლის ბევრი მეთოდი იყო მოხსენიებული, პრაქტიკულად, როგორც წესი, ეს მოიცავდა ლექციასა და სემინარს, ხოლო ზოგიერთ კურსში - PBL სესიებს. კლინიკური და პროფესიული უნარები 1-ში ავტორს ჩამოთვლილი ჰქონდა შემდეგი მეთოდები როგორც სწავლის და სწავლების (T&L) მეთოდები: ლექცია, შებრუნებული საკლასო ოთახი, CBL, როლური თამაშები, TBL, სიმულატორებით სწავლება, სტანდარტიზებული პაციენტით სწავლება, შემთხვევის განხილვა, დემონსტრაციის მეთოდი (აუდიო და ვიდეო მასალის გამოყენებით). განრიგის მიხედვით, მხოლოდ სამი მეთოდი იყო მითითებული: ლექცია, სემინარი და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL). არ არსებობდა არანაირი განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ ჩატარდებოდა სემინარი და არაფერი იყო ნათქვამი, თუ რატომ არ გამოიყენებოდა სხვა ნახსენები მეთოდები.“ მათ სურდათ, განმარტება, რომ სემინარი არ იყო სწავლების მეთოდი. სემინარი წარმოადგენდა სწავლების ფორმას, რომელიც იყო სამუშაო ჯგუფში სწავლების პროცესი. სემინარზე ხორციელდებოდა ლექციაზე ახსნილი მასალის განხილვა სწავლების იმ მეთოდებით, რომელიც აღწერილი იყო თითოეულ სილაბუსში. რაც შეეხება PBL სწავლებას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე (სხვა საათობრივი დატვირთვა, სესია 1, სესია 2, PBL შეფასება), იგი აღწერილი იყო საათობრივი დატვირთვით, სესიების ნომრითა და შეფასების კრიტერიუმებით. სწავლების ყველა ფორმატში, მათ შორის, სემინარის ჯგუფში, სილაბუსის განმახორციელებელი იყენებდა სწავლების შესაბამის მეთოდებს, რაც გათვალისწინებული იყო სილაბუსით. უნივერსიტეტს შემუშავებული ჰქონდა სილაბუსის ფორმა, რომელიც წარმოადგენდა საინფორმაციო დოკუმენტს, რომლის ძირითადი ადრესატი გახლდათ სტუდენტი. მასში დეტალურად იყო გაწერილი სწავლებისა და სწავლის მეთოდები, როგორც ლექციისთვის, ისე სემინარისთვის, პრაქტიკისთვის და ა.შ. შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ სილაბუსები მოიცავდა ყველა საჭირო ინფორმაციას დეტალურად. შესაბამისად, მიაჩნდათ, რომ 1.5. კომპონეტის შეფასებისას ექსპერტთა მიერ აღწერილი გარემოებები ვერ ადასტურებენ სწავლებისა და სწავლის მეთოდების შეუსაბამობას სწავლის შედეგებთან და არც ხარვეზი იყო გასასწორებელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 1.5 კომპონენტში ასევე იყო მეორე რეკომენდაციაც („რეკომენდებულია, განახლდეს შემოთავაზებული ლიტერატურა“), რომელსაც დაწესებულება არ იზიარებდა. სილაბუსებში მოცემული ყველა სავალდებულო ლიტერატურა იყო ბოლო 5 წლის. თუ ექსპერტთა კორპუსი რეკომენდაციის სახეს აძლევდა აღნიშნულ საკითხს. სასურველი იქნებოდა დასახელებულიყო, კონკრეტულად რომელი სილაბუსის ლიტერატურა იყო მოძველებული და საჭიროებდა განახლებას. ასევე აღსანიშნავია, რომ კომპონენტი 2.2. („ა) რეკომენდებულია, დაწესებულებამ აჩვენოს თუ რამდენად იცნობენ სწავლების მეთოდოლოგიას სწავლების პროცესში ჩართული კლინიცისტები“), დაწესებულება არ იზიარებდა. პერსონალის პროფესიული განვითარების საუნივერსიტეტო მიდგომებისა და სტრატეგიის დოკუმენტი ითვალისწინებდა აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის (მათ შორის, კლინიცისტებისათვის) მთელ რიგ ტრენინგებს და პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელ აქტივობებს. ზემოაღნიშნულ დოკუმენტში მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალისთვის დაკონკრეტებულია, სავალდებულო ხასიათის კომპონენტი -

გადამზადება 2 წელიწადში ერთხელ “სწავლების და შეფასების მეთოდოლოგიაში”. საგულისხმოა რომ აღნიშნული ტრენინგი უკვე ჩატარებული იყო (2024 წელი), პერსონალის პირად საქმეებში არსებობდა შესაბამისი სერტიფიკატი. აგრეთვე, ხარისხის მართვის დეპარტამენტი ახორციელებდა სასწავლო პროცესის ხარისხის პირდაპირ და ირიბ მონიტორინგს, მათ შორის სასწავლო პროცესზე დაკვირვებს (ლექციებზე დასწრების ფორმატით) გზით და იღებდა უკუკავშირს ყველა დაინტერესებული (ჩართული ან ბენეფიციარი) პირისგან, საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფდა პერსონალის პროფესიულ გადამზადებას. უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრი, მისივე ყოველწლიური გეგმის შესაბამისად, პერმანენტულად ახორციელებდა პერსონალის გადამზადებას სწავლების მეთოდოლოგიაში.

რაც შეეხებოდა ამავე კომპონენტში მეორე რეკომენდაციას, („ბ) რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სათანადოდ უზრუნველყოს ავადმყოფის საწოლთან სწავლების პროცესი“). დაწესებულება ასევე არ იზიარებდა. ავადმყოფის საწოლთან სწავლება, წარმოადგენდა სწავლების ერთ-ერთ მეთოდს, რომელიც გათვალისწინებულია რიგი სილაბუსებით. შესაბამისად, პერსონალი, რომელმაც მიუთითა აღნიშნული სწავლების მეთოდი სილაბუსში, სრულყოფილად იყო გათვითცნობიერებული აღნიშნული მეთოდის გამოყენების სპეციფიკასა და დანიშნულებაზე. დასკვნის პროექტში აღნიშნული რეკომენდაციის გაცემას, საფუძვლად დაედო შემდეგი ჩანაწერი: „მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ აგვიხსნა, რომ სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის დაგეგმილია სტუდენტების ჩართვა კლინიკური უნარების მიმართულებით პირველივე სემესტრიდან, არასაკმარისი თვალსაჩინოების გამო, ექსპერტებმა ვერ შეძლეს შეეფასებინათ, თუ როგორ აპირებს უნივერსიტეტი კლინიკური უნარების სწავლების უწყვეტი ჯაჭვის განხორციელებას.“ დაწესებულებამ აღნიშნა, რომ პატივცემულ ექსპერტებს შეახსენებდნენ, რომ უნივერსიტეტს, კამპუსში ჰქონდა სიმულციური სწავლების ცენტრი (პირველი სართული, მარცხენა ფლიგელი), რომელიც აღჭურვილი იყო თანამედროვე სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად სრულყოფილად. საექსპერეტო დასკვნის პროექტში არ იყო დაკონკრეტებული, რომელი სასწავლო რესურსი ვერ მოიძიეს ექსპერტებმა ვიზიტის დროს სიმულაციურ ცენტრში; რაც შეეხებოდა კლინიკური უნარების სწავლების უწყვეტ ჯაჭვს, ე.წ. საუნივერსიტეტო კლინიკური უნარები, რომელთა სწავლება მულაჟებზე/ მანეკენებზე მიმდინარეობდა, იგი ხორციელდებოდა სიმულაციურ ცენტრში პირველი სემესტრიდანვე და გრძელდებოდა უწყვეტად როგორც ცენტრში, ასევე კლინიკურ ბაზებზე. საექსპერტო დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ - „ვერ მოხერხდა კლინიკური სწავლების პროცესში ჩართულ პერსონალთან შეხვედრა და კლინიკებში მათი სწავლების მეთოდოლოგიის შეფასება. ექსპერტებისთვის გაურკვეველი დარჩა, თუ როგორ აპირებდა უნივერსიტეტი შექმნას პირობები, რათა თითოეულ სტუდენტს შესძლებოდა რეალურ პაციენტებთან კომუნიკაცია, ვინაიდან ხელშეკრულებაში მითითებული კლინიკები უკვე ახორციელებენ მსგავს სასწავლო პროცესებს სხვა უნივერსიტეტებთან “.

დაწესებულების აზრით, ეს ჩანაწერიც ედო საფუძვლად ზემოთ მოყვანილ რეკომენდაციას, რასაც ასევე არ იზიარებდნენ, ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს ორი აფილირებული კლინიკა „ჯერარსი“ და „ქართულ-ჰოლანდიური კლინიკა“; ორივე კლინიკაში ნაჩვენები იყო სასწავლო სივრცე, რომელიც მხოლოდ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის იქნებოდა გამოყოფილი, ასევე ექსპერტებს წარედგინათ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, სადაც ყველა პირობა იყო დეტალურად გაწერილი და კლინიკას ჰქონდა აღებული ვალდებულება, რომ მიუხედავად სხვა უნივერსიტეტებთანაც არსებული თანამშრომლობისა, ჰქონდა რესურსი განახორციელებინა მემორანდუმით გათვალისწინებული პირობები, უნივერსიტეტის კონტიგენტისათვის. პაციენტის საწოლთან სწავლების პროცესი, რომელიც პროგრამის მიხედვით „იძლევა ოპტიმალურ შესაძლებლობას ფიზიკური გასინჯვის, კომუნიკაციის უნარებისა და ინტერპერსონალური უნარების დემონსტრირებისა და დაკვირვებისთვის და პაციენტის მოვლის ჰოლისტიკური მიდგომის როლური მოდელისთვის”, ხორციელდებოდა სწორედ

კლინიკებში, რაც თავის მხრივ ასახული გახლდათ კლინიკური საგნების სილაბუსებში. შესაბამისად, გაუგებარია ექსპერტები რას გულისხმობდენ, როდესაც მიუთითეს ავადმყოფის საწოლთან სწავლების პროცესის სათანადო უზრუნველყოფა.

2.3 კომპონენტის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციასთან დაკაშირებით („ა) რეკომენდებულია, სწავლებისა და შეფასების მეთოდები უფრო ნათლად იყოს წარმოდგენილი, გასაუბრების დროს დაწესებულების თანამშრომლებმა ჩამოთვალეს სხვადასხვა მეთოდი, რომლებიც არ არის მითითებული სილაბუსებში.“) დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ იზიარებდნენ. სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლებისა და შეფასების მეთოდები შესაბამისობაში იყო დარგობრივ მახასიათებელთან და შერჩეული იყო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ. დასკვნის პროექტის მიხედვით, აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი გახდა პერსონალის ინტერვიუირების პანელზე ცალკეული პირის/პირების მიერ სწავლების ისეთი მეთოდების დასახელება, რომლებიც ექსპერტებმა ვერ იპოვეს სილაბუსებში. სამწუხაროდ, აღნიშნულის გადამოწმება ან/და უარმყოფელი მტკიცებულებების წარმოდგენა შეუძლებელი გახლდათ, ვინაიდან გასაუბრება არ ოქმდება/იწერება. ამასთან, დასკვნის პროექტში არ იყო მითითებული არც კონკრეტული სილაბუსი/სილაბუსები და არც ის პერსონალი, რომელმაც თითქოს დაასახელა სილაბუსისგან განსხვავებული სწავლების მეთოდები.
შემდეგ რეკომენდაციას („ბ) რეკომენდებულია პროგრამაში დაინერგოს პორტფოლიო/ლოგბუქი“). არ იზიარებდნენ. დარგობრივ მახასიათებელში არ იყო საავალდებულო კომპონენტად მითითებული რეკომენდაციაში ხსენებული მეთოდები; შესაბამისად, ამ ეტაპზე არ იზიარბდნენ, თუმცა სამომავლოდ სწავლების ხარისხიანი უზრუნველყოფის მიზნით, გეგმავდნენ პორთფოლიოს დაგეგვმას. ვინაიდან სავალდებლო ხასიათის არ იყო, ამიტომ თვლიდნენ, რომ რეკომენდაცია უნდა გადასულიყო რჩევების ნაწილში.

შემდეგ რეკომენდაციას, („გ) რეკომენდებულია, ინტეგრაციის პროცესი უზრუნველყოფდეს კონკრეტული საგნის სრულ დაფარვას. მაგალითად, სტუდენტმა ჯერ უნდა შეისწავლოს ყურისა და თვალის ანატომიური მაკროსტრუქტურა ანატომიის კურსში, სანამ დაიწყებს ოფთალმოლოგიის შესწავლას“). ასევე არ იზიარებდნენ. მედიცინის პროგრამის პირველი ფაზა (I-IV სემესტრი) ფოკუსირებული იყო ორგანიზმის ნორმალური სტრუქტურისა და ფუნქციის შესწავლაზე, ხოლო პრეკლინიკური ფაზა ანუ მეორე ფაზა - სხვა სასწავლო კურსებთან ერთად შეისწავლიდა ფიზიკურ შეფასებას, რომელიც ეფუძნებოდა კლინიკურ სასწავლო კურსებს. ზემოთ მოყვანილი ანატომიური სტრუტურების (თვალი, ყური) შესწავლა იწყებოდა სწავლების პირველ ფაზაში კერძოდ, IV სემესტრი, სასწ. კურსი ორგანოთა ფუნქციები 3, კვირა 11, ხოლო ფიზიკური შეფასება შეისწავლება V სემესტრში სასწავლო კურსში დიაგნოსტიკის მეთოდები 1, კერძოდ კვირა 13: თავი და კისერი. ზოგადი და საყურადღებო სიმპტომები. თავი, თვალები და ყურები. მიმოხილვა, შეფასების თავისებურებები (ინსპექცია, პალპაცია, ინსტრუმენტალური კვლევა), ოფთალმოსკოპის და ოტოსკოპის გამოყენება. მხოლოდ ამის შემდეგ სწავლების კლინიკურ ფაზაში - შეისწავლება ოფთალმოლოგიის საგანი (VII სემესტრი). შესაბამისად, მეშვიდე სემესტრამდე, სადაც სტუდენტი ოფთალმოლოგიას შეისწავლიდა, მეოთხე და მეხუთე სემესტრში სწავლობდა თვალის ანატომია-ფიზიოლოგიასა და კვლევის ინსტრუმენტალურ მეთოდებს.

შემდეგ რეკომენდაციას, („დ) რეკომენდებულია, კლინიკურ სასწავლო კურსებს, მხოლოდ თეორიული შეფასების მეთოდების გარდა, დაემატოს კლინიკური/პრაქტიკული შეფასების მეთოდებიც“). არ იზიარებდნენ. ყველა კლინიკური სასწავლო კურსი მოიცავდა კლინიური/პრაქტიკული შეფასების მეთოდს. ასე მაგალითად, სასწ. კურსში: გადაუდებელი და კრიტიკული მედიცინა, შეფასების ერთ-ერთი მეთოდია: პაციენტის მართვა (მოიცავს:

ანამნეზის შეკრება, ფიზიკური შეფასება, პაციენტის მართვის გეგმის შედგენა, ოქსიგენოტერაპიის ჩატარება, ინფუზიის განხორციელება, კარდიოპულმონალური რეანიმაცია, დიაგნოსტიკური მოწყობილობების გამოყენება და აშ), ასევე სასწავლო კურსი: შინაგანი მედიცინა 1 - შეფასება მოიცავს: პრაქტიკული პროცედურების ჩატარებას (მოიცავს: ეკგ ინტერპრეტაცია, ექოკარდიოგრაფიის ინტერპრეტაცია, გულის აუსკულტაცია, სპირომეტრიის ჩატარება, გულმკერდის რენტგენის ინტერპრეტაცია, PicFlowmeter ჩატარება და ა.შ.), ასევე პაციენტის მართვას (ანამნეზის შეკრება, ფიზ. შეფასება, ლაორატორიული და ინსტრუმენტალური კვლევების დანიშვნა, დიფ. დიაგნოზის გატარება, დიაგნოზის დასმა, მკურნალობის გეგმის შედგენა, პრევენცია, დოკუმენტირება), ხოლო დასკვნითი გამოცდა ტარდება OSCE - ის მეთოდით, რომელიც წარმოდგენილი იყო 12 სადგურით.

2.4 კომპონენტის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშრებით („ა) რეკომენდებულია, ფაკულტეტის წევრები, რომლებიც მონაწილეობენ სწავლებისა და შეფასების პროცესში, და განსაკუთრებით კლინიცისტები, რომლებიც ასწავლიან და აფასებენ სტუდენტებს კლინიკურ გარემოში, იყვნენ მუდმივ კომუნიკაციაში უნივერსიტეტთან. უნივერსიტეტმა უნდა გააკონტროლოს ეს პროცესი“) აღსანიშნავია, რომ არ იზიარებდნენ. პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ყველა განმახორციელებელი წარმოადგენდა უნივერსიტეტის პერსონალს და იკავებდა როგორც აკადემიურ, ისე მოწვეული პერსონალის პოზიციას. აღნიშნული პირები იყვნენ პროგრამის შემუშავებაში ჩართულნი, პროგრამის განვითარების კომიტეტის, ხოლო აკადემიურ პოზიციებზე მყოფი პირები, აგრეთვე სკოლის საბჭოს ფარგლებში. პერსონალის პროფესიული განვითარების საუნივერსიტეტო მიდგომებისა და სტრატეგიის დოკუმენტი ითვალისწინებდა და ავალდებულებდა უნივერსიტეტს, რომ პერსონალი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ გადაემზადებინა სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიაში. აღნიშნული ტრენინგი უკვე ჩატარებული იყო და იკითხებოდა პერსონალის პირადი ინფორმაციის დოკუმენტში (CV).
ყველა მათგანთან დადებულია შესაბამისი შრომის ხელშეკრულებები, დამტკიცებულია მათი სამუშაო აღწერილობები. რაც შეეხება კომუნიკაციას უნივერსიტეტსა და ფაკულტეტის წევრებსა და განსაკუთრებით კლინიცისტებთან, უნდა აღინიშოს, რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს უნივერსიტეტის სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტის თანამშრომელი გახლდათ მუდმივ კონტაქტზე მათთან კლინიკაში და ახორციელებდა პერმანენტულ ვიზიტებს კლინიკაში სასწავლო პროცესის მონიტორინგის მიზნით. მონიტორინგი შესაძლოა განხორციელდეს, როგორც გეგმიურ, ისე არაგეგმიურ რეჟიმში. გარდა ამისა, პროგრამის კლინიკური კომპონენტის განხორციელების პროცესი ხარისხობრივად ფასდება ხარისხის მართვის დეპარტამენტის მიერ ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად, რაც გულისხმობდა აღნიშნულ პერსონალთან მუდმივ თანამშრომლობით კომუნიკაციას.

ამ კომპონენტის შემდეგი რეკომენდაცია („ბ) რეკომენდებულია, ფაკულტეტის წევრებისთვის ნათლად იყოს განსაზღვრული მეთოდოლოგიური ტრენინგის ხასიათი, რომელსაც უნივერსიტეტი ახორციელებს/გეგმავს სწავლებასა და შეფასებაში ჩართული პირებისთვის და ასევე - ტრენინგთა ინტენსივობა“), არ იზიარებდნენ. უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი ტრენინგების შესახებ ინფორმაცია დეტალურად იყო გაწერილი სხვადასხვა დოკუმენტში, კერძოდ, პერსონალის პროფესიული განვითარების საუნივერსიტეტო მიდგომებისა და სტრატეგიის დოკუმენტში, უწყვეტი განათლების ცენტრის 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმაში, ტრენერთა რეესტრის დოკუმენტში და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის 2025 წლის სამოქმედო გეგმაში. აღნიშნულ დოკუმენტებში დეტალურად იყო გაწერილი ტრენინგების მეთოდოლოგიური ხასიათი, მათი ინტენსივობა, ტრენინგის განმახორციელებელი პირები და ა.შ. აღნიშნული დოკუმენტები საექსპერტო ვიზიტის დროს გამოთხოვილ იქნა ექსპერტთა მიერ, რომელთა მიწოდებაც უზრუნველყოფილ იქნა

უნივერსიტეტის მიერ. მაგალითად, ექსპერტთა ვიზიტამდე, უნივერსიტეტმა მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლი ყველა პირისათვის (მათ შორის, კლინიცისტებისათვის) უზრუნველყო შემდეგი ტრენინგის ორგანიზება: „From Blueprint to Bedside: Assessment of Clinical Competence Trough OSCEs“. ინფომაცია იკითხება პერსონალის პირადი ინფორმაციის ამსახველ დოკუმენტში (CV).

რაც შეეხება 3.1 კომპონენტში დაწერილ რეკომენდაციას („ა) რეკომენდებულია, ყველა საჭირო დოკუმენტაცია, მათ შორის სტუდენტებისთვის განკუთვნილი ინფორმაცია (მაგალითად, სტუდენტის გზამკვლევი), ხელმისაწვდომი იყოს ვებგვერდზე ინგლისურ ენაზე“). არ იზიარებდნენ. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოტანილიიყო ყველა საჭირო დიკუმენტაცია, მათ შორის სტუდენტური გზამკვლევი. აღნიშნული განთავსებული იყო როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე.
შემდეგ რეკომენდაციასაც არ იზიარებდნენ(„ბ) რეკომენდებულია, სტუდენტებს შორის გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით და ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის, სხვადასხვა მიმართულებით (კვლევა, მობილობა, კარიერული განვითარება და ა.შ.) საკონსულტაციო პასუხისმგებლობების განაწილება აისახოს სტუდენტის გზამკვლევში“). უნივერსიტეტს სტუდენტებისათვის შემუშავებული ჰქონდა საკონსულტაციო მომსახურების წესი, რომელშიც დეტალურადაა იყო გაწერილი კონკრეტულ მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირები, საკონსულტაციოდ გამოყოფილი დროისა და საათების მითითებით. აგრეთვე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია იყო ყველა სამსახურის შესახებ ინფორმაცია, სამსახურში ჩართული პირების მითითებით. ისინი ფიქროდნენ, აღნიშნული ინფორმაცია რომელ დოკუმენტში იქნება გაწერილი, იქნებოდა ეს გზამკვლევი, თუ სხვა დოკუმენტი, უფრო გემოვნების საკითხს წარმოადგენდა. შესაბამისად, მიიჩნევენ, რომ აღნიშნული რეკომენდაცია რჩევებში უნდა გადავიდეს.
არც შემდეგ რეკომენდაციას არ იზიარებდნენ („გ) რეკომენდებულია, სტუდენტებისთვის სათანადო აკადემიური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, პროგრამა წინასწარ უზრუნველყოფილი იყოს ყველა საჭირო რესურსით, მათ შორის ადამიანური რესურსებით, თითოეული სასწავლო კურსის განხორციელება უნდა იყოს განხილული და შესაძლებელი შესაბამისი აკადემიური პერსონალით“).
პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა სასწავლო კურსს ჰყავდა შესაბამისი კვალიფიკაციის განმახორციელებლები. აღნიშნული ინფორმაცია იკითხება სააკრედიტაციო განაცხადით გადმოგზავნილ პროგრამის დანართში (პაკეტის დანართი 2 - ფოლდერი მედიცინის პროგრამა - დანართები - ფაილი სახელწოდებით “მედიცინა დანართი N4”) და თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. აგრეთვე, პირველი სასწავლო კვირა დათმობილი იყო სილაბუსის გაცნობას, რომელიც ითვალისწინებს, როგორც სილაბუსის, ისე განმახორციელებლის პრეზენტაციას. აღნიშნული პროცესს მონიტორინგს უწევს უნივერსიტეტის ხარისხის მართვის დეპარტამენტი, რომელიც ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით და შესაბამისი კითხვარით. 3.1 პუნქტის ნარატივში არ არის საუბარი სხვა რესურსებზე. რაც შეეხება 3.1 ნარატივში აფილირებული და აკადემიური პერსონალის სიმწირის შესახებ ინფორმაციას, უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობდა ამ მიმართულებით, რაც მხარდაჭერილი იყო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში მოყვანილ სამიზნე ნიშნულებში. აღნიშნული ნიშნულები ითვალისწინებენ აკადემიური და მათ შორის აფილირებული პერსონალის ზრდას. უფრო დეტალურად აღნიშნულ საკითხზე შესაძლებელია იხილოთ 4.1. სტანდარტის „ბ“ რეკომენდაციის პასუხში.

შემდეგ რეკომენდაციას არ იზიარებდნენ (“დ) რეკომენდებულია, ვებ-გვერდზე განახლდეს ინფორმაცია საერთაშორისო პარტნიორობის შესახებ”), არ იზიარებდნენ. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია ყველა აქტიური საერთაშორისო პარტნიორის შესახებ.

შემდეგ რეკომენდაციას იზიარებდნენ („ე) რეკომენდებულია, სტუდენტებს მიეცეთ საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების მეტი შესაძლებლობა და დაწესებულებამ გააფართოოს თავისი პარტნიორული ქსელი“).
შემდეგ რეკომენდაციას არ იზიარებდნენ („ვ) რეკომენდებულია, განახლდეს ვებ-გვერდი და დაემატოს ინფორმაცია დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის კვლევითი საქმიანობის შესახებ“). უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე კვლევების ნაწილში განთავსებულია ინფორმაცია კვლევითი პროექტებისა და გრანტების შესახებ (იხ. ლინკი https://iut.edu.ge/kvleva/kvleviti-proeqtebi-da-grantebi/). აგრეთვე, განთავსებულია ინფორმაცია კვლევითი პროექტების საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსის შესახებ, რომელიც მოიცავს როგორც მედიცინის, ისე სხვა მიმართულებებს (https://iut.edu.ge/sagranto-konkursi/).

4.1 კომპონენტთან დაკავშირებით („ა) რეკომენდებულია პროგრამის მდგრადობისთვის საჭირო ზომების გატარება. ვერ გავიზიარებდნენ, ვინაიდან დასკვნის პროექტის 4.1. სტადარტის ფაქტობრივ გარემოებათა აღწერილობით ნაწილში (ნარატივში) არაა მითითებული პროგრამის მდგრადობის ის გამოწვევები, რომლებიც გახდა საფუძველი ამ რეკომენდაციის გასაცემად. საუბარია მხოლოდ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე, ამასთან აღნიშნულია, რომ “თვითშეფასების და გასაუბრებების მიხედვით, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სათანადო წარმართვას და სამეცნიეროკვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობის დროულ შესრულებას” (გვ. 37). გარდა ამისა, აკადემიური აფილირებული პერსონალის ოდენობის ზრდის რეკომენდაცია, ცალკე რეკომედაციად იყო ფორმირებული, რომელსაც იზიარებდნენ ნაწილობრივ.
შემდეგ რეკომენდაციას იზიარებდნენ ნაწილობრივ („ბ) რეკომენდებულია, გაიზარდოს კომპეტენტური აფილირებული აკადემიური პერსონალის ჯამური რაოდენობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მეტი სტაბილურობა და შეიქმნას თავდაცვის მექანიზმი ისეთი გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის, როგორიცაა სხვა დაწესებულებასთან დაკავშირებული პერსონალის სამუშაოს დატვირთვაში წარმოქმნილი პრობლემები“). ცხადია უნივერსიტეტი მუდმივად უნდა ზრუნავდეს პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად სულ უფრო მეტი აკადემიური, და მათ შორის, აფილირებული პერსონალის მოზიდვისათვის. აღნიშნული პროცესი დაგეგმილიიყო კიდეც უნივერსისტეტის მხრიდან, რის თაობაზეც აღნიშნულია უნივერსიტეტის 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმაში (გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე: https://iut.edu.ge/wpcontent/uploads/2024/04/სამოქმედო-გეგმა-2024-26-N1.2.2.pdf), ხარისხის მართვის დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ და წარმოდგენილ 2024 წლის შეფასების შედეგების გამოყენების ანგარიშში (იხ. 1.1.), სადაც აღნიშნულია, რომ აფილირების შეთანხმებით და აფილირებულ პერსონალთან დასადები შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დამსაქმებლისა და დასაქმებულის ურთიერთშეგებებული ბენეფიტები, რამაც უნდა გაზარდოს უნივერსიტეტთან აფილირების მსურველთა რიცხვი, ასევე პროგრამაზე დართულ სვოტ-ანალიზში აფილირებული პერსონალის სიმწირე განისაზღვრება, როგორც სისუსტე, რომელიც დამწყებმა ახალმა უსდ-მ ეფექტურად უნდა დაძლიოს უახლოეს პერსპექტივაში.

4.3 კომპონენტის მიხედვით, რეკომენდებულია, უნივერსიტეტს ჰქონდეს ფაკულტეტის წევრების პროფესიული განვითარების მკაფიო გეგმა, განსაზღვროს ტრენინგებზე პასუხისმგებელი კონკრეტული 10 პირი/დეპარტამენტი, შეიმუშაოს დეტალური წლიური გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს ფაკულტეტის წევრებს ახალი სწავლებისა და სწავლის მეთოდების დანერგვაში. აღნიშნულს ვერ გავიზიარებდნენ. უნივერსიტეტს გააჩნია პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებათა გეგმა, ტრენინგებზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრით, რაც ექსპტერტთა მიერ გამოთხოვილ იქნა და მიეწოდათ კიდეც. კერძოდ,

მხედველობაში გვაქვს HR ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, უწყვეტი განათლების ცენტრის ყოველწლიური გეგმა და ტრენერების საუნივერსიტეტო რეესტრი.

4.4. კომპონენტის მიხედვით, „ა) რეკომენდებულია, ბიბლიოთეკის რესურსების გაფართოება “, აღნიშნულ იზიარებდნენ. „ბ) რეკომენდებულია საუდიტორიო რესურსების გაფართოება “. იზიარებენ ნაწილობრივ. უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილია ახალი კამპუსის მშენებლობა, რისი ტექნიკური პროექტიც უკვე არსებობს. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტმა დაასაბუთა მის მიერ ექსპერტებისთვის წარდგენილი სასწავლო მოდელირებული ცხრილებით, რომ დღეს არსებული საუდიტორიო რესურსების გათვალისწინებით, ორი ცვლის პირობებში, სრულიად შესაძლებელია მოთხოვნილი კონტიგენტის მომსახურება შეუფერხებლად.
„გ) რეკომენდებულია, გაფორმდეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ზემოაღნიშნულ საავადმყოფოებთან და სტუდენტები უზრუნველყოფილი იყვნენ საავადმყოფოებში აუდიტორიული რესურსებით“. იზიარებდნენ ნაწილობრივ. უნივერსიტეტის მიერ ცხადია დაგეგმილია სხვა კლინიკებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტმა დაასაბუთა მის მიერ ექსპერტებისთვის წარდგენილი სასწავლო მოდელირებული ცხრილებით, რომ დღეს არსებული კლინიკური რესურსების გათვალისწინებით, სრულიად შესაძლებელია მოთხოვნილი კონტინგენტის მომსახურება შეუფერხებლად.
4.5 კომპონენტის მიხედვით, რეკომენდებულია მეტი ფინანსური სახსრების გამოყოფა სასწავლო პროგრამის განვითარებისთვის, როგორც ადამიანური რესურსების, ასევე პროგრამის მატერიალური ნაწილის უზრუნველყოფის მიზნით. ისინი ამ რეკომენდაციას ვერ გაიზიარებდნენ. ვინაიდან მიჩანიათ, რომ წარმოდგენილ 2025-2027 ბიუჯეტში სოლიდური ფინანსური ხარჯებია დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის, როგორც ადამიანური რესურსების, ასევე პროგრამის მატერიალური ნაწილის შემდგომი განვითარების მიზნით. კერძოდ, 2025 წლის საბიუჯეტო მაჩვენებლებით: ჯანდაცვის სკოლის აკადემიური და მოწვეული პერსონალის სახელფასო ხარჯებად განსაზღვრულია 3 200 715 ლარი (პ. 1.1.), პერსონალის მატერიალური სტიმულირებისა და წახალისებისათვის - 114 275 ლარი (პ. 2.1), მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის საბიბლიოთეკო რესურსების განვითარებისათვის 52 151 ლარი (პ. 3.4.2.), მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო კომპონენტისთვის - 525 932 ლარი (პ. 3.4.4.), ასევე, პროგრამის სასწავლო რესურსისა და პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის - 102 557 ლარი (პ. 3.4.6.), პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ტექნიკის და სხვა ძირითადი საშუალებების შესაძენად - 47 334 ლარი (პ. 3.4.7.) აღნიშნულში არ შედის და ცალკეა განსაზღვრული ადმინისტრაციული და კომუნალური საუნივერსიტეტო ხარჯები, პროგრამული უზრუნველყოფებისა და სატელეკომუნიკაციო ხარჯები, ასევე მარკეტინგული ხარჯები.
5.1 კომპონენტის მიხედვით, „რეკომენდებულია გაუმჯობესდეს უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ფარგლებში, რაც გულისხმობს სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დონის განმსაზღვრელი შეფასების სისტემის შემუშავებასა და დანერგვას“. აღნიშნულს არ იზიარებდნენ. წარმოდგენილი “ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის” დოკუმენტის შესაბამისად, დეტალურად იყო გაწერილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და მექანიზმები (იხ. გვ. 22 - გვ. 24). სტუდენტების მიერ სილაბუსის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენა ხდება მათი აკადემიური მოსწრების ანალიზის გზით, რაც მოიცავდა პროგრამის და სილაბუსის დონეზე მონაცემების დამუშავებას და პროცენტული განაწილების დინამიკის დაკვირვებას. გამოყენებული იყო გაუსის განაწილების დიაპაზონები. დიაპაზონიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში გადაიხედება სწავლის შედეგები და მისი მიღწევის გზები, კერძოდ, კრედიტების/საათების განაწილება დროში; სწავლების მეთოდები; თემატიკა; მოცულობა; შეფასების ფორმები და მეთოდები; ჯგუფში სტუდენტთა ოდენობა; კურსის დაძლევის წინაპირობა; სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები და ა. შ. საგანმანათლებლო

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ერთ-ერთ ინდიკატორად განსაზღვრულია შედეგების რუკა (დანართი N26/ წარმოდგენილია), რომელიც გამოიყენება სწავლის შედეგების ნაწილში (ხდება პროგრამის და სასწავლო კურსების/მოდულების სწავლის შედეგების დადარება). უნივრსიტეტში დანერგილია შეფასების ტექნიკა (მონიტორინგის სისტემა) რათა განვსაზღვროთ, მიაღწია თუ არა სტუდენტმა სწავლის შედეგებს. არსებული ტექნიკა ითვალისწინებს სასწავლო ელექტრონული პროგრამის საშუალებით იმის დადგენას პროგრამაზე არსებული სტუდენტების საერთო რაოდენობიდან რამდენმა პროცენტმა მიაღწია პროგრამის თოთოეულ სწავლის შედეგს და დადარდეს სამიზნე ნიშნულებს. გამოყენებულია პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდოლოგია, სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები, მასალები, მტკიცებულებები. პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები 12 თითოეული სწავლის შედეგისათვის; ხდებოდა სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება; სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი გულისხმობდა სწავლის შედეგების მიღწევის პროცენტული განაწილების ანალიზს. ხდებოდა მონიტორინგის შედეგების დადარება სამიზნე ნიშნულებთან და აიგება თვალსაჩინოებისთვის დიაგრამა სწავლის შედეგების მიღწევის პროგრესის/რეგრესის დაკვირვების მიზნით. პროგრამის სასწავლო კურსის სწავლის შედეგების გაზომვა ხდებოდა აკადემიურ წელიწადში ერთხელ, აღნიშნული სასწავლო კურსის ხელახლა განხორციელებამდე არაუგვიანეს 1 თვისა და დარდება პროცენტულ მაჩვენებლებს; პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის გაზომვა ხდება პროგრამაზე თანდართული შეფასების გეგმის (დანართი N27) მიხედვით იმ სემესტრის ბოლოს სადაც დადგა აღნიშნული სწავლის შედეგი. სწავლის შედეგების გადახედვა და მონიტორინგი ხორციელდება ერთსაფეხურიანი პროგრამებისთვის 3 წლიან დინამიკაში დაკვირვებით. დინამიკაში დაკვირვების შემდეგ თუ გამოვლინდა რეგრესი (სამიზნე ნიშნულებთან დადარებისას) ხდებოდა სწავლის შედეგების და მიღწევის გზების გადახედვა და შესაბამისად, პროგრამის მოდიფიცირება არსებული რეგულაციების გათვალისწინებით.”

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მზია წიკლაურმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა იგეგმებოდა თუ არა განვითარების თვალსაზრისით გამოიცეს წიგნი, მაგალითად, ლექციების კურსი. ასევე თუ დაფინანსდებოდა პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო ტრენინგებზე მონაწილეობის ხარჯები? მას ასევე აინტერესებდა აფილირებულ და მოწვეულ პროფესორებს შორის რა სხვაობაა, როგორ ირჩევა და რა უპირატესობა აქვს მას? ამასთან ინტერესი გამოიწვია საბჭოს წევრში იმანაც, თუ როგორ მოხდება სტუდენტის მიღება, როგორ შემოწმდება მათი ცოდნა და ა.შ.
კახი ყურაშვილმა განმარტა, რომ სტუდენტთა მიღება ხდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად. ამ პროგრამაზე დაგეგმილია როგორც შიდა ეროვნული გამოცდების საფუძველზე სტუდენტთა მიღება, ისე უცხოელი სტუდენტების მიღება. ამისათვის მარკეტინგული ხარჯები საკმაოდ სოლიდურად იყო გათვალისწინებული ბიუჯეტში. უცხოელ სტუდენტებს მიღებისას უმოწმდებათ სწავლების ენის კომპეტენცია. ამ კომპეტენციის შემოწმების მეთოდები დაწვრილებით იყო წარმოდგენილი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე როგორც ქართულ, ისე უცხო ენაზე. რაც შეეხებოდა აფილირებულ, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალს, სამივე მათგანს უფორმდებოდა შრომითი ხელშეკრულება. აფილირებული პერსონალისთვის გათვალისწინებული იყო აფილირების დამატებითი ხელშეკრულება, რომელიც არის შრომის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი, რომელიც

გულისხმობს სახელფასო მოჭრილ თანხას, აფილირების დანამატს. აფილირებულ პერსონალს, გარდა სახელფასო დანამატისა, უნივერსიტეტი სთავაზობს ნებისმიერ სამეცნიერო აქტივობაში მხარდაჭერას.
ნინო კასრაძემ ლიტერატურასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რადგან მედიცინა მუდმივად განვითარებადი სფეროა უნივერსიტეტს შეძენილი აქვს Up-to-date და ბიბლიოთეკაში წვდომა ექნება ნებისმიერ დაინტერესებულ სტუდენტს. მან აღნიშნა ისიც, რომ უნივერსიტეტმა გააკეთა უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამა ე.წ უპგ პროგრამა, რომელიც არის 18 ქულიანი. მისი სახელწოდებაა „გადაუდებელი კარდიოვასკულარული დახმარება “. დღესდღეობით სამედიცინო სფეროში ექიმებს აქვთ ვალდებულება შეაგროვონ 30 უპგ ქულა, რომ მათი ლიცენზია იყოს ვალიდური. უნივერსიტეტი კი ამ კურსს პერსონალს სთავაზობს უფასოდ.
მზია წიკლაურმა კითხვით კვლავ დაწესებულებას მიმართა. მას აინტერესებდა თუ რამდენი ადამიანია ჯგუფში გათვალისწინებული და რამდენია საათების ხანგრძლივობა?
კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ ყველა კურსს შეუდგინეს გამტარუნარიანობის ცხრილები. კლინიკური კომპონენტის შესრულებისას 10 სტუდენტზე მეტი არ უნდა იყოს ჯგუფში. სააუდიტორიო სწავლებისას სტუდენტთა რაოდენობა 40-ს აღწევდა. ლექცია-სემინარების ხანგრძლივობა არის 1 ასტრონომიული საათი.
ქეთევან აფთარაშვილმა ექსპერტებსა და დაწესებულებას სთხოვა აზრის დაფიქსირება პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციასთან დაკავშირებით. შემდეგი კითხვით კი მან დაწესებულებას მიმართა: რადგანაც აღნიშნულია, რომ B1 დონეზე ინგლისური დონის შემოწმებას უცხო ქვეყნის სტუდენტებთან უზრუნველყოფს უნივერსიტეტი, საბჭოს წევრს აინტერესებდა თუ როგორ იქნებოდა ეს გამოცდები ორგანიზებული?
მაგისტრატურის დებულებასთან დაკავშირებით მას აინტერესებდა ვრცელდება თუ არა აღნიშნული დებულება დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე? ან თუნდაც სტუდენტის მიღების წინაპირობის ნაწილში. მან კვლავ დაწესებულებას მიმართა და სთხოვა განემარტათ, თუ როგორ გეგმავდნენ კვოტის მიღებას კონტინგენტის ნაწილში?
კახი ყურაშვილმა განმარტა, რომ ინგლისური ენის საკითხში პერსონალს კონკურსში მონაწილეობისას აუცილებლად უნდა დაედასტურებინა ენის B2 დონეზე ცოდნა. ეს შეეძლოთ დაედასტურებინათ ნებისმიერი მოქმედი საერთაშორისო სერტიფიკატით ან სამწლიანი სამუშაო გამოცდილებით. ენის კომპეტენციის შემოწმების მეორე ეტაპი იყო თავად საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება. გარდა ამისა უწყვეტი განათლების ცენტრი პერსონალს სთავაზობს სხვადასხვა სასერტიფიკატო კურსებს ენის კომპეტენციის ასამაღლებლად, თუმცა ამ შემთხვევაში ეს არარელევანტურია, რადგან მიღების ეტაპზე ამ კურსებს ისინი წინასწარ ვერ გაივლიდნენ.

ექსპერტმა, ნინო ინაურმა, განმარტა, რომ როდესაც ექსპერტები ადმინისტრაციას მიგნებებს აცნობდნენ, აღნიშნეს, რომ მათ ჰქონდათ სრული მზაობა 80-დან 600 სტუდენტამდე მიღებისა. მან აღნიშნა, რომ მეტი სიცხადე იყო საჭირო აკადემიური და აფილირებული პერსონალის გასამიჯნად. ენობრივ კომპონენტთან დაკავშირებით ხაზი გაუსვა, რომ ლექტორები საუბრობდნენ ქართულად თარჯიმნის საშუალებით. CV-ებში კი არ ჩანდა, რამდენიმე ლექტორის შემთხვევაში, ენის ცოდნის დამადასტურებელი აქტივობა თუ დოკუმენტი.
კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს B1 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან დაწესებულება უზრუნველყოფს გამოცდის ჩატარებას. ის არის 4 კომპონენტიანი - Speaking, Writing, Listening. რა ტიპის დავალებები იქნება ის ვებ-გვერდზეა გამოქვეყნებული. გამოცდის ვიდეოჩაწერა და არქივირება ხდება. ხოლო როცა სპეციალისტი დაადასტურებს ენის კომპეტენციას ხდება სტუდენტის ჩარიცხვა. ეს ხდება როგორც ონლაინ, ისე ადგილზე. მან, ასევე, განმარტა, რომ მაგისტრატურის დებულება გამოიყენება იმ პროგრამებთან მიმართებაში, რომელიც სწავლების ამ საფეხურს შეესაბამება.
ნინო კასრაძემ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ის გაფორმებული აქვთ 2 აფილირებულ კლინიკასთან. ექიმის კაბინეტში სწავლებასთან

დაკვშირებით კი ხაზი გაუსვა, რომ თავად მოინახულა ექსპერტებთან ერთად აღნიშნული სივრცე და სრულიად საკმარისი სივრცეა კაბინეტში 10 სტუდენტისათვის.
კახი ყურაშვილმა კვოტასთან დაკავშირებით განმარტა, რომ არსებობს სტუდენტთა დაგეგვმის მეთოდოლოგია, რომელიც უნივერსიტეტის მიერაა დამტკიცებული, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს აღნიშნული პროცესი.
ქეთევან ნანობაშვილმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით კითხვებით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა თუ როგორ გეგმავს უნივერსიტეტი მთლიანად პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას და არსებობს თუ არა ერთიანი დოკუმენტი? ერთ-ერთი დანართის მიხედვით აღნიშნულია, რომ ცოდნა - გაცნობიერებაზე, გაღრმავებასა და გამტკიცებაზე პასუხისმგებელი საგნები, ყველა მონაწილეობს შედეგების შეფასების საკითხში. საბჭოს წევრს აინტერესებდა, რომ თუ ეს ყველა საგანი მონაწილეობას იღებდა ამ პროცესში, მაშინ რა საჭირო იყო გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცების სტატუსის მინიჭება? ქეთევან ნანობაშვილი, ასევე, დაინტერესდა იყენებდა თუ არა დაწესებულება შეფასების ცალკეულ რუბრიკებს?

კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი დოკუმენტი, რა თქმა უნდა, არსებობს, რომელშიც მოცემულია ხარისხის შეფასების ყველა მექანიზმი. მოცემულია პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც გამოიყენება. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის გაზომვა ხდება პროგრამაზე თანდართული შეფასების გეგმის მიხედვით.
ნინო კასრაძემ რუბრიკებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ყველა სილაბუსში ჩაშლილია რუბრიკები. ისინი კონკრეტულ კვირაში დაფარულ საკითხს ეხება და სწავლის კონკრეტულ შედეგს რუბრიკა არ პასუხობს.
თეა მჭედლურმა კითხვით მიმართა დაწესებულებას 1.4 კომპონენტთან მიმართებით. დოკუმენტში მოცემულია, რომ ქართული ენის სწავლება უცხოენოვანი სტუდენტებისთვის გადანაწილებულია 4 სემესტრზე, რომელიც 16 კრედიტს მოიცავს. ხოლო ქართულენოვან სტუდენტებზე შეთავაზებულია ჩინური ენა იგივე პირობებით. მას აინტერესებდა თუ რატომ მიენიჭა პრივილეგია ჩინურ ენას ქართველენოვან სტუდენტებთან დაკავშირებით და რატომ არ არის შეთავაზებული სხვა ენა? მან შემდეგი კითხვით მიმართა როგორც ექსპერტებს, ისე დაწესებულებას. მას აინტერესებდა ჰყავდა თუ არა უნივერსიტეტს შესაბამისი რაოდენობის მედიცინის დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტების კვლევითი პროექტის თემის ხელმძღვანელობას?
კახი ყურაშვილმა განმარტა, რომ ჩინეთი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი გახდა და ჩინური ენის პოპულარიზაციის თვალსაზრისით გარკვეული პროექტები ხორციელდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ. უნივერსიტეტმა აქცენტი ჩინურ ენაზე იმიტომ გააკეთა, რომ საკმაოდ კარგი და გამოცდილი სპეციალისტი ჰყავდა. ამასთან, რადგან სწავლება ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს ჩინური ენის შეთავაზებით რეგულაციები არ ირღვევა. ერთ აკადემიურ პერსონალზე პროგრამის კვლევითი კომპონენტის განხორციელების ჭრილში 4-5 სტუდენტი მოდის. გარდა ამისა განახლებული CV-ების შესაბამისად კვლევით ცენტრს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ჰქონდა მომუშავე პერსონალის სამეცნიერო კვლევითი ინტერესები. მაშასადამე სტუდენტს შეეძლო ინტერესების მიხედვით აერჩია პროექტის თემის ხელმძღვანელი.
ექსპერტმა, შოთა სილაგაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტებმა გადაამოწმეს PHD-ის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა უნივერსიტეტში. პლუს ინტერვიუების დროს ისინი შეხვდნენ პერსონალს, ვისაც აქვს PHD, თუმცა დაწესებულების მხრიდან ინფორმაციის დასაზუსტებლად აღინიშნა, რომ აღნიშნული პერსონალი მუშაობს სხვა დაწესებულებაშიც იგივე თანამდებობაზე და მთლიანი რესურსის მხოლოდ ამ უნივერსიტეტზე გადმორთვა ყველას არ შეუძლია. შესაბამისად, ამ რიცხვების გაანგარიშების საფუძველზე გაიცა რეკომენდაცია.

საერთაშორისო ექსპერტმა აზიზ მუჰამედ მირზაზადემ აღნიშნა, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო ის, რომ ექსპერტებს შეუძლიათ დასკვნა დააფუძნონ აღნიშნულ რესურსებზე, თუმცა მათ არ შეუძლიათ სამომავლო გეგმების ისე განხილვა, როგორც აწ უკვე არსებულის. ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა 2 სილაბუსზე, მაგალითად „საბაზისო ფსიქოლოგიის“ სილაბუსში იყო მითითებული ჩაკუვერას 2018 წლის წიგნი. შეფასება განხორციელდა 2025 წლის იანვარში, როდესაც მისი ახალი ვერსია უკვე გამოცემული იყო 2023-ში. სემინარის ნაწილზე აღინიშნა, რომ ექსპერტთა აზრით, პროგრამაში ბოლომდე არ იყო განმარტებული თუ რას უნდა ფარავდეს პროგრამის ფარგლებში სემინარები. OSCE და პორთფოლიოს ნაწილის შესახებ ხაზი გაესვა იმას, რომ დარგობრივი მახასიათებლის თანახმად ორივეს გამოყენება იყო სავალდებული და, შესაბამისად, გამოყენებული უნდა ყოფილიყო ორივე. რესურსებთან დაკავშირებით ექსპერტთა ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო კლინიკურ რესურსებზე და ექპერტებმა არ მიიჩნიეს, რომ კლინიკური სწავლება გათვლილი უნდა ყოფილიყო მეტ სტუდენტზე, რადგან შესაძლოა 1 ან 2 წელში კლინიკაში სწავლის გაგრძელება მოუწიოს 500-600 სტუდენტს. მაშასადამე, ამის რესურსიც გათვალისწინებული უნდა ჰქონოდა დაწესებულებას. ინგლისური ენის ნაწილში ექსპერტთა დასკვნა ეფუძნებოდა როგორც ინტერვიუებს, ისე დოკუმენტებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 17:00
დასრულებისდრო:18:00
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთის" "მედიცინის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი;
კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 26
წინააღმდეგი - 0
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთის" "მედიცინის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა კონტიგენტის 600-ით გაზრდის საკითხი;
კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 23
წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტისა, მე-3, მე-5 და მე-7 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭოს გადაწყვეტილებით, შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ

"აიიუთის" "მედიცინის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 2027 წლის 31 დეკემბრამდე და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამაზე განისაზღვრა 600 სტუდენტით.

აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია - 2025 წლის 29 მაისი.

მეორე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართველური ენათმეცნიერების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა;
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ქართველური ენათმეცნიერება;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ქართველურ ენათმეცნიერებაში; 0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120
სტატუსი: პირობით აკრედიტებული
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
აღნიშნულ საკითხზე თვითაცილება განაცხადა საბჭოს თავმჯდომარემ ლევან შავაძემ, ირინა ლობჟანიძემ და ვლადიმერ ადეიშვილმა. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან, ქალბატონი ირინა ლობჟანიძე კი ჩართული იყო აღნიშნული საკითხის შეფასების პროცესში როგორც აკრედიტაციის ექსპერტი.
აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აღნიშნული საკითხის განხილვას უხელმძღვანელა აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ქეთევან აფთარაშვილმა.

ქეთევან აფთარაშვილმა საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფმა წარმოადგინა საკუთარი პოზიცია და განიხილა დასკვნაში გაცემული რეკომენდაციები და რჩევები. საერთაშორისო ექსპერტმა ნიჰადა დელიბეგოვიჩ ჯანიჩმა (Nihada Delibegović Džanić) და ექსპერტთა ჯგუფმა, შემუშავებული დასკვნის საფუძველზე, წარმოადგინეს ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნასთან დაკავშირებით:
1.4 კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ("მეექვსე სწავლის შედეგის მიღწევის უზრუნველსაყოფად რეკომენდირებულია დაინერგოს კურსი ენათმეცნიერებაში კვლევის მეთოდების შესახებ, რაც გულისხმობს აკადემიური სტანდარტების შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომის შექმნას; საკუთარი პოზიცია/აზრის ზეპირად და წერილობით ჩამოყალიბებას.“) განმარტეს, რომ ეთანხმებიან რეკომენდაციას და 2025-2026 სასწავლო წლიდან „ქართველური ენათმეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმს დაემატება სავალდებულო სასწავლო კურსი „ლინგვისტური კვლევის მეთოდები“
1.4 კომპონენტში გაცემულ მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით ("რეკომენდირებულია შესავალი კურსები, როგორიცაა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თანამედროვე ლინგვისტური თეორიები და ა.შ., ამოღებულ იქნეს პროგრამიდან ან ამაღლდეს სამაგისტრო პროგრამამდე") განმარტეს, რომ ასევე, ეთანხმებოდნენ რეკომენდაციას და სამაგისტრო პროგრამიდან ამოღებულ იქნება კურსი „თანამედროვე ლინგვისტური თეორიები“, ხოლო კურსი „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“ გადამუშავდებასამაგისტრო საფეხურის დონის შესაბამისად.
2.3 კომპოენეტში გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ("რეკომენდებულია სტუდენტებისთვის აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ყოვლისმომცველი ღონისძიებების განხორციელებით, რომლებიც გაზრდის ცნობიერებას და წაახალისებს ეთიკურ ქცევას") საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 2017 წლიდან აწსუ ჩართულია ERASMUS + ინსტიტუციური განვითარების პროექტში INTEGRITY (აკადემიური კეთილსინდისიერება), რომლის მიზანია ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობს პლაგიატის შემთხვევების გამოვლენას, აღმოფხვრასა და პრევენციას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურთან ერთად დაგეგმა და განახორციელა აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული ტრენინგები აკადემიური პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის. ტრენინგების მიზანი იყო პლაგიატის, მისი ფორმების და უნივერსიტეტში პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებისა და მექანიზმების (აკადემიური საბჭოს დადგენილება №51(17/18) 9.02.2018) გაცნობა და ანტიპლაგიატის პროგრამაში Turnitin (ჩაშენებულია Moodle სისტემაში) ნაშრომების აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე შემოწმების დანერგვა.უნივერსიტეტი სათანადო რეგულაციებით, მექანიზმებით, საინფორმაციო კამპანიით და სხვა საშუალებებით ხელს უწყობს პლაგიატის თავიდან აცილებას და პლაგიატის ფაქტების გამოვლენას, მათ შორის:

- სტუდენტები პლაგიატის საწინააღმდეგო წესების შესახებ ინფორმაციას იღებენ: სილაბუსებიდან (სადაც შეფასების ერთ-ერთი ფორმაა რეფერატის ან პრეზენტაციის მომზადება); აკადემიური წერის კურსიდან; სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების ეთიკის კოდექსიდან; აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის კოდექსიდან და სხვ.;
- უნივერსიტეტში სტუდენტებისათვის ეწყობა საუდიტორიო, ინტერდისციპლინური დისკუსიები, ტრენინგები პლაგიატის, პლაგიატის სახეებისა და შემთხვევების შესახებ;
- უნივერსიტეტში სტუდენტებთან მიმართებით, პლაგიატზე რეაგირების ისეთი მექანიზმები გამოიყენება, როგორებიცაა: სიტყვიერი გაფრთხილება, ნიშნის დაკლება, ჩაჭრა, სამაგისტრო ნაშრომის, რეფერატის, პრეზენტაციის უარყოფითი შეფასება და სხვ.;

რაც შეეხება 2.4 კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციას ("რეკომენდებულია სტუდენტების შეფასების კომპონენტების მორგება ინდივიდუალური სილაბუსების მოთხოვნებთან") მათი განმარტებით – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით №5 (17/18) 15.09.2019 (ცვლილება № 6, (22/23) 16.09.2022) განსაზღვრულია სტუდენტთა შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:სტუდენტის

აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში – არაუმეტეს 30 ქულა; შუალედური გამოცდა – არანაკლებ 30 ქულა; დასკვნითი გამოცდა – 40 ქულა. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას.ვეთანხმებით წარმოდგენილ რეკომენდაციას. სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით მოხდება სილაბუსებში მოხდება შეფასების კომპონენტების მოდიფიცირება.

4.2 კომპონენტში გაცულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ("სიცხადისა და სამართლიანობის გასაზრდელად, აწსუ-მ უნდა განიხილოს თანა-ხელმძღვანელის კრიტერიუმების მკაფიოდ განსაზღვრა, რაც უზრუნველყოფს თანა-ხელმძღვანელის შერჩევის რეგულაციების უფრო გამჭვირვალობას") **საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ** აწსუ–ში მოქმედ „სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესში“ (აკადემიური საბჭოს დადგენილება №38 (20/21), 15.07.2021) მითითებულია, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი), ემერიტუს-პროფესორი, დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული პირი. სამაგისტრო ნაშრომს შესაძლებელია ჰყავდეს თანახელმძღვანელიც (კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე).

ამავე კომპონენტში შემუშავებულ მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით ("სამაგისტრო ნაშრომის შეფასების აკადემიური სანდოობისა და ხარისხის უზრუნველსაყოფად, რეცენზენტებისთვის ცალსახად უნდა განისაზღვროს შესაბამისი მოთხოვნები დებულებით ე.წ. „მინიმალური აკადემიური კვალიფიკაციის შესახებ“) ასევე განმარტეს, რომ აწსუ–ში მოქმედ „სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესის“ (აკადემიური საბჭოს დადგენილება №38 (20/21), 15.07.2021) თანახმად რეცენზენტად შეიძლება შეირჩეს პირი, ვისაც სამაგისტრო თემის შესაბამის დარგში/მონათესავე დარგში აქვს აკადემიური ხარისხი ან შესაბამისი განათლება, სამეცნიერო პუბლიკაციები და სამუშაო გამოცდილება (მუხლი 6. პუნქტი 6.2).

4.2 კომპონენტში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ მესამე რეკომენდაციაში (" გასაჩივრების პროცესის გამჭვირვალობისა და ობიექტურობის უზრუნველსაყოფად დებულებაში ცალსახად უნდა იყოს მითითებული სააპელაციო კომიტეტის შემადგენლობა") დამატებით განმარტეს, რომ აწსუ–ში მოქმედ „სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესში“ (აკადემიური საბჭოს დადგენილება №38 (20/21), 15.07.2021) მითითებულია, რომ სააპელაციო კომიტეტის შემადგენლობაში არ შეიძლება იყოს ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და რეცენზენტი. სააპელაციო კომისიას ქმნის ფაკულტეტის დეკანი პროგრამის სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი არანაკლებ სამი პირის შემადგენლობით, რომელთაგან არც ერთს არ აქვს მიღებული მონაწილეობა მაგისტრანტის მიერ დაცვაზე წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის პირველად შეფასებაში (მუხლი 9, პუნქტები 4, 5).

5.1 კომპონენტში არსებულ რეკომენდაციაზე ("რეკომენდირებულია, რომ უნივერსიტეტმა განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამების ყოვლისმომცველი თვითშეფასება, რათა გამოავლინოს გასაუმჯობესებელი სფეროები, ასევე დაგეგმილი აქტივობები და გასაუმჯობესებელი სფეროების ვადები") საგანმანათლებლო დაწესებულებამ პროგრამის სამუშაო და თვითშეფასების ჯგუფების მიერ პირობითი აკრედიტაციის ვადაში (2 წელი) განხორციელებული თვითშეფასების საფუძველზე „ქართველური ენათმეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამის გასაუმჯობესებელ მხარედ მიიჩნია ინტერნაციონალიზაციის კუთხით აქტივობების გაძლიერება, მათ შორის, გაცვლით პროგრამებში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართვა.

რაც შეეხება 5.3 კომპონენტში გაცემულ პირველ რეკომენდაციას ("რეკომენდირებულია მოხდეს უზრუნველყოფა იმისა, რომ სტუდენტებმა ანონიმურად შეაფასონ ყოველი სავალდებულო სასწავლო კურსი თითოეული კურსის ბოლოს.(კითხვარითა თუ სხვა საშულებით) ამას გარდა, უნივერსიტეტმა უნდა შეაფასოს სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელება, ასევე მაგისტრატურის სტუდენტების სამეცნიერო ხელმძღვანელობა")

საგანმანათლებლო დაწესებულების განმარტებით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამების განვითარებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ატარებს სტუდენტთა გამოკითხვებს. სტუდენტები ანონიმურად აფასებენ ყოველ სასწავლო კურსს თითოეული კურსის დასრულების შემდეგ. ასევე მაგისტრატურის სუდენტები აფასებენ სამეცნიერო ხელმძღვანელს. წინასწარ შედგენილ კითხვებზე მიღებული პასუხების სტატისტიკური დამუშავების, საჭიროების შემთხვევაში მონაცემების დაზუსტების (შეხვედრები რესპოდენტებთან, ჩაღრმავებული ინტერვიუები/გამოკითხვები), შედეგების გაანალიზებისა და დასკვნების გამოტანის საფუძველზე მიმდინარეობს რეკომენდაციების შემუშავება, შესაბამისი სამსახურების, აკადემიური პერსონალის, სტუდენტების ინფორმირებულობა და ხდება PDCA ციკლის უწყვეტობისთვის სარეკომენდაციოდ გაცემული საკითხების შესრულებაზე მონიტორინგი.
ხოლო ამავე კომპონენტში არსებულ მეორე რეკომენფდაციასთან ("პროგრამის პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უშუალო შეფასებად უნდა გამოიყენოს კონკრეტული შეფასების კომპონენტი/აქტივობა მესამე საფეხურის (გაძლიერების დონე) სასწავლო კურსებიდან, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს. უნივერსიტეტმა თანმიმდევრულად და მტკიცედ უნდა განახორციელოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად") განაცხადეს, რომ აწსუ–ში საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ერთად შეიმუშავებს სწავლის შედეგების შეფასების გეგმას, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში უნდა ჩანდეს რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი.პირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებით, პროგრამის სწავლის შედეგების გასაზომად გამოიყენება სწავლის შედეგების განმამტკიცებელი (M) დონის სასწავლო კომპონენების/კურსების (რიგ შემთხვევაში დამატებით გამაღრმავებელი (P) დონის კურსების) აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები.თოთოეული სწავლის შედეგის გაზომვისათვის განისაზღვრება საკვანძო M-დონის სასწავლო კურსები და დგინდება ამ სწავლის შედეგის მიღწევის სამიზნე ნიშნული სასწავლო კურსის საბოლოო შეფასების ან რომელიმე კომპონენტის ფარგლებში. მაგალითად, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში „ქართველური ენათმეცნიერება“ მე–5 სწავლის შედეგის „პრაქტიკულად იყენებს ქართულისა და მასთან ერთად მეგრულის, ლაზურისა და სვანურის სტრუქტურულ კომპონენტებს; სიღრმისეულად ფლობს საანალიზო მასალის შეგროვება-დამუშავების სხვადასხვა მეთოდს“ მიღწევა შეფასდება სამ M-დონის სასწავლო კურსში განსაზღვრული სამიზნე ნიშნულით, კერძოდ, სტუდენტების 50%-ის შეფასება არ უნდა იყოს 20 ქულაზე ნაკლები თითოეულ სასწავლო კურსში არსებულ 30 ქულიან აქტივობის კომპონენტში (ჯგუფში აქტიურობა, პრეზენტაცია, რეფერატი). (იხ. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა). სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასებისას, კარგი პრაქტიკაა, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება სამაგისტრო ნაშრომში. სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება ყოველ 2 წელიწადში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
სხდომის თავმჯდომარემ, ქეთევან აფთარაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას სურდა, ექსპერტებს დაეზუსტებინათ სასწავლო კურსებთან მიმართებით დაშვების წინაპირობებისა და ბოლო პირობითი აკრედიტაციის ეტაპზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების საკითხები. შემდეგი კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა თუ რა გეგმები აქვს დაწესებულებას სტუდენტთა მოზიდვის ნაწილში.ნინო პოპიაშვილმა განმარტა, რომ წარმოდგენილია ცალკეული საგნების წინაპირობები. თუმცა ეს დარგი არ ითხოვს, რომ რაიმე

განსაკუთრებულ წინაპირობები იყო საფუძვლად. ასევე, აღნიშნა ბოლო აკრედიტაციის დროს გაცემული რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების მახასიათებელთან მიმართებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მუდმივად მიმდინარეობს უნივესიტეტში სასწავლო გეგმის გადახედვა და განახლება. დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკა დადიანმა, აღნიშნა, რომ არის რიგი სასწავლო კურსებისა, რომელთაც აქვთ წინაპირობები, მაგალითად მეგრულისა და ლაზურის პრაქტიკული კურსი 1 და 2, რაც, რა თქმა უნდა, მეგრულ-ლაზური 2-ის წინაპირობაა 1. მაშასადამე, ეს წესი დაცულია, როდესაც ერთი სასწავლო კურსი 2 სემესტრზეა გაწერილი.საველე პრაქტიკული მუშაობის ნაწილში ექსპერტმა, ირინა ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ საველე მუშაობა არცერთი კურსის ფარგლებში არ ხორციელდება, ამიტომაც ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო, რომ დამატებოდა ისეთი კურსი, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა საველე ენათმეცნიერების შესწავლაზე იმის ფონზე, რომ უნივერსიტეტში ისედაც ახორციელებნ სხვადასხვა ექსპედიციას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:40
დასრულების დრო: 18:55
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართველური ენათმეცნიერების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას კლასტერის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი (2030 წლის 01 მაისამდე) ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართველური ენათმეცნიერების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2030 წლის 01 მაისამდე, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.
დაწესებულების წარმომადგენელმა თეა კორძაძემ დააყენა შუამდგომლობა საბჭოს წინაშე, გადაწყვეტილება შევიდეს ძალაში გამოცხადების დღიდან.
აღნიშნული შუამდგომლობა დააკმაყოფილა საბჭომ და მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2025 წლის 29 მაისიდან.

მესამე საკითხი: შპს ევროპის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები და აუდიტის" საბაკალავრო და ,,ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები და აუდიტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები და აუდიტი;
საფეხური: საბაკალავრო;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში; 0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 180
სტატუსი: ახალი;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები და აუდიტი;
საფეხური: საბაკალავრო;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში; 0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა;
სწავლების ენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 180
სტატუსი: ახალი;
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ (ებ) მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა.
ექსპერტების პოზიციის განხილვასაბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტმა ნატალი ალექსანდრა გურვიტს-სუიტსმა (Natalie Aleksandra Gurvits-Suits) და ექსპერტთა ჯგუფმა შემუშავებული დასკვნის საფუძველზე წარმოადგინეს ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნასთან დაკავშირებით:„რეკომენდაცია: რეკომენდებულია დაიხვეწოს და გაუმჯობესდეს კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევის ლოგიკური თანმიმდევრობა (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება). დაწესებულების პოზიცია: რეკომენდაციის საპასუხოდ

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი კომპლექსური და მოცულობითია, რომლის მიღწევაც უზრუნველყოფილია სასწავლო კურსების კომბინაციით. აქედან გამომდინარე, თითოეული სასწავლო კურსი პასუხისმგებელია პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგის გარკვეული ნაწილის შესაბამისი დონით მიღწევაზე (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება). სასწავლო კურსი შესაძლებელია ისწავლებოდეს ზედა სემესტრში, თუმცა გაცნობის დონეზე აღწევდეს სწავლის შედეგს, რადგან არ მონაწილეობს აღნიშნული სწავლის შედეგის მიღწევაში იმ დოზით, რა დოზითაც მონაწილეობს წინა სემესტრებში არსებული სასწავლო კურსები. მაგალითად, სასწავლო კურსი „აუდიტის საფუძვლები“, რომელიც ისწავლება მე-5 სემესტრში გაცნობის დონეზე უზრუნველყოფს პირველი სწავლის შედეგის მიღწევას, სწავლის შედეგის და სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე, ხოლო შედეგის მიღწევა გაღრმავების დონეზეა უზრუნველყოფილი სასწავლო კურსით „ფინანსური აღრიცხვა“, რომელიც ისწავლება გაცილებით ადრე, კვლავ სწავლის შედგის და ამ სასწავლო კურსის შინაარსის გათვალისწინებით. პროგრამის მეორე სწავლის შედეგის შემთხვევაში, სასწავლო კურსი „რისკების მართვა ფინანსებში“ უზრუნველყოფს აღნიშნული შედეგის მხოლოდ გარკვეული ნაწილის გაღრმავებას, თუმცა იგივე სასწავლო კურსი უზრუნველყოფს პროგრამის სხვა სწავლის შედეგის განმტკიცების დონეზე მიღწევას. ხოლო ამ სასწავლო კურსის სემესტრი პროგრამის სტრუქტურაში განპირობებულია ფინანსების სფეროს თემატიკის ლოგიკური თანმიმდევრობით. ამდენად, სასწავლო კურსების თანმიმდევრობა სემესტრების მიხედვით არ არის პირდაპირ კავშირში იმასთან თუ რა დონით მიიღწევა პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგი. რეკომენდაცია: რეკომენდებულია, გაიზარდოს თანამშრომლობის ხელშეკრულებების რაოდენობა როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან და კომპანიებთან. დაწესებულების პოზიცია: მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორემბული მემორანდუმების რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამაზე მისაღები სტუდენტების (ქართულენოვან პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა 40 და ინგლისურენოვან პროგრამაზე მისაღებბი სტუდენტების რაოდენობა 30, ჯამში 70 სტუდენტის) გატარებას, რაც დასტურდება შემდეგი გარემოებით: თითოეული მემორანდუმი შეთანხმების ფარგლებში განსაზღვრავს სემესტრის განმავლობაში მისაღები სტუდენტების მაქსიმალურ რაოდენობას, რაც იძლევა პრაქტიკის ობიექტების მიერ ჯამში მისაღები სტუდენტების რაოდენობის გამოთვლის შესაძლებლობას. პროგრამების ფარგლებში პრაქტიკის გატარების მიზნით გაფომრებულია თანამშრომლობის მემორანდუმები 19 ორგანიზაციასთან, ზემოაღნიშნული გამოთვლების შედეგად დასტურდება ამ ორგანიზაციებში 204 სტუდენტის გატარების შესაძლებლობა, მაშინ როცა პროგრამებზე დაგეგმილია მაქსიმუმ 70 სტუდენტის მიღება. რაც შეეხება თანამშრომლობას საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ზემოაღნიშნული ორგანიზაცების ნაწილი საერთაშორისო ხასიათისაა, მაგალითად, Grant Thornton Georgia, Kudos Georgia, RSM Georgia, Moore ABC Georgia, NEXIA TA Georgia და ა.შ. ამასთანავე აღსანშანვი, რომ უნივერსიტეტში დადგენილი ქმედითი პრაქტიკაა, რომ მუდმივად მოხდეს ახალი პარტნიორების მოძიება და თანამშრომლობების გაძლიერება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ არ არსებიბს რეკომენდაციის გაცემის საფუძველი.“

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა როგორ დააკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს პროგრამა თუ ფინანსურ ტექნოლოგიების ქვეშ მოაზრებული კურსები შეთავაზებულია, როგორც არჩევითი.ილია ბოცვაძემ განმარტა, რომ პროგრამა აგებულია ფინანსების დარგობრივი მახასიათებელის მიხედვით. დაწესებულებამ გადაწყვიტა, რომ ყოფილიყო ფინანსების ზოგადი პრინციპები. აღნიშნული პროგრამა კვალიფიკაციას ანიჭებს ბიზნესადმინისტრირებას ფინანსებში, ამიტომ ბიზნესის ძირითად კურსებზე დაფუძნებულია ფინანსების ძირითადი მიმართულება და შევსებულია აღრიცხვა აუდიტის კურსებით.ციური დურულს აინტერესებდა „საბანკო საქმის საფუძვლებს“

არ აქვს წინაპირობა და რამდენად მიზანშეწონილია ეს.ილია ბოცვაძემ განმარტა, რომ ეკონომიკის შესავალი ვისაც გავლილი აქვს თავისუფლად შეუძლია ფინანსების გავლა.სოფო ხუნდაძემ წინაპირობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „საბანკო საქმის საფუძვლები“ არის საკმაოდ მარტივი კურსი, ვინაიდან საფუძვლებია, მაშასადამე წინაპირობის გარეშე სავსებით შესაძლებელია სტუდენტი გაეცნოს მას.ქეთევან ნანობაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, რამ განაპირობა მეორე რეკომენდაციის ასეთი სახით ჩამოყალიბება.ექსპერტთა ჯგუფს ამ საკითხთან დაკავშირებით არ გაუკეთებია კომენტარი.დაწესებულების წარმომადგენელმა, სოფიო ხუნდაძემ დაამატა, რომ სხვადასხვა პროგრამებზე არის კონკრეტული მემორანდუმები, რომლებიც მხოლოდ ამ პროგრამებს ეკუთვნის, თუმცა არსებობს საზიარო მემორანდუმებიც. მაგალითად, თუ რომელიმე მემორანდუმი ორ პროგრამას ემსახურება ერთად, ორივე პროგრამისთვის მემორანდუმებში სტუდენტების თანაბარი რაოდენობა არის გათვალისწინებული. შესაბამისად, ამ კუთხითაც შეფასებული გვაქვს და გამტარუნარიანობა ასეც დასტურდება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:10
დასრულების დრო: 19:30

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ევროპის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები და აუდიტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადამდე.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შპს ევროპის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები და აუდიტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2032 წლის 01 მარტამდე.

აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია - 2025 წლის 29 მაისი.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ევროპის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები და აუდიტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადამდე.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შპს ევროპის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები და აუდიტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2032 წლის 01 მარტამდე.

აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია - 2025 წლის 29 მაისი.

მე-4 საკითხი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ორგანიზაციის ტრანსფორმაცია და კონსულტირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს N338851; 04/03/2025 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
ცენტრის თანამშრომელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა შუამდგომლობა, რომლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭოს N338851; 04/03/2025 მიზანშეწონილი იყო, გასწორებული ყოფილიყო ხარვეზები. კერძოდ, არაზუსტად იყო პროგრამის დასახელება მოცემული. გარდა ამისა, არასწორედ იყო მოცემული აკადემიური კალენდარის ვადა, რომელიც განსაზღვრავდა ამ შემთხვევაში სტუდენტთათვის აკრედიტაციის რეჟიმში სწავლის დასრულების შესაძლებლობას.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების დასაბუთებული შუამდგომლობის, საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, შევიდეს შემდეგი ცვლილებები "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ორგანიზაციის ტრანსფორმაცია და კონსულტირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიატციის საბჭოს N338851; 04/03/2025 გადაწყვეტილებაში:
1. გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
"სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის

სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ".
2. გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
"1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობა და "ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2025 წლის 26 ივლისის ჩათვლით) დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე."

აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია - 2025 წლის 29 მაისი.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 19:30 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე